განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ეკონომიკა, დოქტორანტურა (მესამე საფეხური)

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 24 სექტემბერი 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 29 ოქტომბერი 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204886454
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა (მესამე საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ეკონომიკის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0311 ეკონომიკა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	50
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ლეკაშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლელა ბახტაძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ქურდაძე,სამხრეთ ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ თავხელიძე, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციის მიზნით შესაფასებლად წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა ,,ეკონომიკა“ მოქმედებს აკრედიტაციის რეჟიმში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 2 დეკემბრის N395 გადაწყვეტილების საფუძველზე.
სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა მოიცავს არანაკლებ 3 წელს, სასწავლო კომპონენტი განისაზღვრება 50 კრედიტით (1 კრედიტი შეადგენს 25 საათს) არჩევით სასწავლო კურსებს/კომპონენტებს 15 კრედიტი ეთმობა. სავალდებულო სასწავლო კურსები/კომპონენტები წარმოდგენილია 35 კრედიტით,
ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის სააკრედიტაციოდ წარდგენა განპირობებულია იმით, რომ პროგრამა მოქმედებს 10 წელია, იგი უნივერსიტეტისთვის პრიორტეტული მიმართულებაა. ამასთან, უნივერსიტეტში განხორციელდა ეკონომიკის მიმართულებით შრომის ბაზრის, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კვლევა, რაშიც გამოვლინდა წარმოდგენილ სფეროებში კვალიფიციური კადრების მომზადების საჭიროება. კვლევის შედეგების საფუძველზე გამოვლინდა ის მოთხოვნები, რომელიც აისახა და დამტკიცდა პროგრამაში აკადემიური საბჭოს 2021 წლის 18 მაისის N 3 გადაწყვეტილებით. კერძოდ: სადოქტორო პროგრამის და მისი კომპონენტების სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდა ,, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროსების კლასიფიკატორთან“ (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპროტის მინისტრის ბრაძენაბ N 69/ნ. 2019 წლის 10 აპრილი); დაზუსტდა სწავლის მეთოდები; დაიხვეწა სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მეთოდები; შემუშავდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტს დაემატა ,,ეკონომიკური პოლიტიკა“ და დარგობრივი სემინარი; შეიცვალა სასწავლო კურსების დასახელება (,,მდგრადი განვითარების ეკონომიკური უსაფრთხოება“ შეიცვალა ,,მდგრადი განვითარების თანამედროვე გამოწვევებით“, ხოლო ,,ეკონომიკური კვლევის მეთოდები“ - ,,ეკონომიკური კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება და ანალიზით“); პროგრამიდან ამოღებული იქნა რიგი სასწავლო კურსები; განახლდა სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა.
აკრედიტაციის საბჭოს ექსპერტთა რეკომენდაციები მოიცავდა პროგრამაში შემავალი კომპონენტების შეფასების კრიტერიუმების და წესების ასახვას შუალოდ სადოქტორო პროგრამაში; ასევე, საკვლევი თემის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსებით უზრუნველყოფას; შედეგებში ღირებულებების ნაწილის წარმოდგენას; ინგლისური ენის დონის გაღრმავებას; ,,აკადემიური წერის“ სასწავლო კურსის სადოქტორო დონის საფეხურისთვის გადამუშავებას.
სწავლების ენა არის ქართული. პროგრამის ხანგრძლივობა 3 აკადემიური წელი. პროგრამას ჰყავს 1 კურსდამთავრებული და 3 აქტიური სტუდენტი. დანარჩენებს შეჩერებული აქვთ სტატუსი. პროგრამაში ჩართულია 8 აკადემიური პერსონალი, რომელთაგან 5 აფილირებულია.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის გადამუშავების პროცესში აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად ჩართულნი იყვნენ სტუდენტები, კურსდამთავრებული და დამსაქმებლები. პროგრამამ გაიარა გარე ექსპერტიზა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, მიმდინარე წლის 24 სექტემბერს. შეფასებამდე, ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები და დაორგანიზა დისტანციური წინასააკრედიტაციო შეხვედრა. ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია, შეაჯერეს კონკრეტული ბუნდოვანი საკითხები, კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ. დააზუსტეს საკითხთა წრე, რომელიც იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს. შეთანხმდა სააკრედიტაციო ვიზიტის განრიგი. შემუშავდა შეიკითხვების ჩამონათვალი. უნივერსიტეტს გაეგზავნა დამატებითი დოკუმენტების და მასალების წარმოდგენის მოთხოვნა, მათ შორის: დაცული სადისერტაციო ნაშრომი; დაცვის ოქმი; სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმები; სადისერტაციო საბჭოს წინაშე გაკეთებული ანგარიშები; სტუდენტთა გამოქვეყნებული ნაშრომების ჩამონათვალი; სასემინარო მასალები; პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების ანგარიშები და სხვა.ვიზიტამდე 2 დღით ადრე უსდ-მ ექსპერტებს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე.

დისტანციური შეფასება დაიწყო შეხვედრის განრიგით გათვალისწინებულ დროს, ექსპერტთა სრული შემადგენლობით. ჩატარდა გრაფიკით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ექსპერტებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა გაცნობოდნენ ყველა დოკუმენტს, რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია.

ვიზიტი წარიმართა საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მაქსიმალურად უზრუნველყო პირობები იმისთვის, რომ დისტანციური რეჟიმის მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

დასკვნის პროექტის განობის შემდგომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ ცენტრში წარადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელსაც გაეცნო ექსპერტთა ჯგუფიც. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შემდგომ ჩამოყალიბდა დასკვნა საბოლოო სახით. დაწვრილებით ექსპერტთა ჯგუფი მოსაზრებას წარმოადგენს ზეპირ მოსმენაზე.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შესაფასებლად წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, 1.1 - მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 1.2 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 2.1 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 2.2 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 2.3 - მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 2.4 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 2.5 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 2.6 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან;

3.1 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 4.1 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 4.2 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 4.3 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 4.4 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 5.1 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 5.2 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან; 5.3 - სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**
  - მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა/სკოლამ შეიმუშავოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია.
  - მიზანშეწონილია, სასწავლო კურსის „ეკონომიკური კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი“ სახელწოდებაში აისახოს მისი შინაარსი და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით - „ეკონომიკური კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი SPSS პროგრამის გამოყენებით“.
  - მიზანშეწონილია, სასწავლო კურსის ,,აკადემიური წერა“ ბოლო თემა ჩანაცვლდეს ისეთი თემით, რომელიც სტუდენტს მიაწვდის ცოდნას კვლევის შედეგების წარდგენის, არგუმენტირებულად დაცვის, სამეცნიერო დისკუსიის წარმართვის და სხვა უნარებს, რომელიც უმნიშვნელოვანესია კვლევითი პროდუქტის საჯარო განხილვის და აღიარების პროცესის ხელშეწყობისთვის;
  - გადასასინჯია სასწავლო კურსის ,,სწავლის მეთოდები“ ძირითადი ლიტერატურა, სადაც წარმოდგენილია მაგალითად ,,მოდულური პროფესიული პროგრამების გზამკვლევი“.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - პროგრამის განვითარების მიზნით, სასურველია, დამუშავდეს ისეთი არჩევითი კურსები, როგორებიცაა ,,მაკროეკონომიკა“, ,,მიკროეკონომიკა“, ,,განვითარების ეკონომიკა“ და ა.შ. გაღრმავებული დონეები და შეთავაზებულ იქნას არჩევითი კურსების სახით.
  - უნივერსიტეტმა, სასურველია, უფრო მეტად იზრუნოს და ეფექტიანი გახადოს სტუდენტების ჩართულობა კვლევით პროექტებში სწავლების ადრეულ საფეხურებზე, რაც ხელმძღვანელთან ერთად სამეცნიერო პროდუქტის შექმნის გზით არის შესაძლებელი.
  - სასურველია, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მოწვევა შესაძლებელი იყოს უცხოური უნივერსიტეტებიდანაც, რაც გააძლიერებს უსდ-ს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებას.
  - სასურველია, საერთაშორისო მიმართულებებით მუშაობის გააქტიურება, მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა საერთაშორისო პროექტებში, მაგალითად: ერასმუს+, ჰორიზონტი 2020 და სხვა.

- სასურველია, წიგნადი ფონდის გამდიდრება უახლესი სამეცნიერო გამოცემებით, განსაკუთრებით სწავლების მეთოდოლოგიისა და კვლევების მიმართულებებით.
- სასურველია, უსდ-ში უფრო მაღალი ხარისხით იქნეს ინიცირებული და მოძიებული დაფინანსების სხვადასხვა წყაროები, მათ შორის საერთაშორისო პროექტებიდან;
- სასურველია, გაიზარდოს უსდ-ს შიდა გრანტის ოდენობა, რომელიც ამ ეტაპზე შეადგენს - 16000 ლარს.
- სასურველია, პროგრამის განვითარებაში უნივერსიტეტმა ჩართოს მეტი უცხოელი ექსპერტი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

  - საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს, სასწავლო კომპონენტის „დარგობრივი სემინარის“ თემის შერჩევა დოქტორანტის, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, რაც ღირებული და ორიგინალური სამეცნიერო ნაშრომის შექმნის შესაძლებლობას იძლევა.
  - უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი“, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების კვლევითი, კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო ინიციატივების მხარდაჭერას, მათი ნიჭის გამოვლენის, თვითრეალიზების ხელშეწყობის და თავისუფალი დროის ეფექტიანად გამოყენების უზრუნველსაყოფად.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

შეაფასებლად წარმოდეგნილი პროგრამა დამტკიცდა აკადემიური საბჭოს 2021 წლის 18 მაისის N 3 გადაწყვეტილებით. მასში შევიდა შემდეგი სახის ცვლილებები: სადოქტორო პროგრამის და მისი კომპონენტების სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდა ,, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპროტის მინისტრის ბრძანებ N 69/ნ. 2019 წლის 10 აპრილი); დაზუსტდა სწავლის მეთოდები; დაიხვეწა სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მეთოდები; შემუშავდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტს დაემატა ,,ეკონომიკური პოლიტიკა“ და დარგობრივი სემინარი; შეიცვალა სასწავლო კურსების დასახელება (,,მდგრადი განვითარების ეკონომიკური უსაფრთხოება“ შეიცვალა ,,მდგრადი განვითარების თანამედროვე გამოწვევებით“, ხოლო ,,ეკონომიკური კვლევის მეთოდები“ - ,,ეკონომიკური კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი“; პროგრამის სასწავლო კურსები შეუშავდა დარგის აქტუალური საკითხების გათვალისწინებით. სილაბუსებში განახლდა სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შესაფასებლად წარმოდგენილი პროგრამის მიზნები გადამუშავდა 2011 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა და აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების, ასევე შრომის ბაზრის, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა, სტუდენტთა მოთხვნების კვლევის შედეგების, ეკონომიკის თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით. ცვლილებების გათვალისწინებით პროგრამა დამტკიცდა აკადემიური საბჭოს 2021 წლის 18 მაისის N3 გადაწყვეტილებით. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის მიზანია ეკონომიკის დოქტორის ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, რომლებსაც ექნებათ: 1. უახლეს მიღწევებზე დამყარებული თეორიული ცოდნა დარგში, კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდებში; 2. ეკონომიკის პრობლემების სისტემური და კრიტიკული გააზრების უნარი მულტიდისციპლინურ ან/და ინტერდისციპლინურ კონტექსტში; გამოუმუშავდებათ; 3. ახალი ცოდნის, ეკონომიკური გადაწყვეტილებების გენერირება-ფორმირებაზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევების დამოუკიდებლად ჩატარების, მათი შედეგების პრაქტიკაში დანერგვის, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე წარმოჩენისთვის საჭირო უნარ-ჩვევები; 4. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ცოდნის გადაცემა-წარდგენის უნარები სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით; 5. სამეცნიერო-კვლევითი ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული კვლევების განხორციელებისა და განვითარებაზე ორიენტირებული სწავლების პროცესის წარმართვის უნარი. სადოქტორო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. მასში ასახულია ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომელიც ექნება კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების შემდეგ. პროგრამის მიზნები ემსახურება სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული ეკონომიკური და პედაგოგიური საქმიანობის წარმართვის უზრუნველყოფას, რასაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს დარგისა და

საზოგადოების განვითარებაში. მასში გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები.
პროგრამა შეესაბამება ზოგადად უსდ-ის მისიას, რომელიც მიმართულია განუვითაროს სტუდენტს ინოვაციური, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, რაც ქვეყნის წარმატების და საზოგადოების განვითარების გადამწყვეტი ფაქტორია; უზრუნველყოს უნივერსიტეტის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია; აკადემიური და კვლევითი საქმიანობის შედეგად გადასცეს სტუდენტს ინფორმაცია და შექმნას ახალი ცოდნა; მაქსიმალურად მოამზადოს სტუდენტი ცვლილებებისთვის, რომლის პირობებშიც მოუწევს მას მომავალი საქმიანობა; მოახდინოს ყველაზე პერსპექტიული და ინოვაციური პროექტებისა და იდეების სელექცია; აზიაროს ახალგაზრდები ,, უნივერსიტეტიების დიდი ქარტიით განსაზღვრულ თავისუფლების, დამოუკიდებლობის, ეთიკურ ღირებულებებსა და იდეალებს.
პროგრამაში ასახულია ინტერნაციონალიზაციის ასპექტები, რაც მოიცავს დარგობრივი ინგლიური ენის სწავლებას, საერთაშორისო საგანამანათლებლო-კვლევით სივრცეში ინტეგრაციას, მაღალრეიტინგულ ჟურნალებში სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებას, პერსონალის საერთაშორისო თანამშრომლობას და ა.შ. აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალის 2020-2021 სასწავლო წლის გამოკითხვაში ნეიტრალური შეფასება გამოიკვეთა ინტერნაციონალიზაციის, საერთაშორისო თანამშრომლობის, საერთაშორისო მობილობის საკითხების შეფასებასთან დაკავშირებით. ამასთან, ადმინისტრაციასთან ინტერვიურების პროცესში აღინიშნა, რომ პროგრამას არ აქვს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია. ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობდა ერასმუს + პროექტისთვის პარტნიორი უნივერსიტეტების მოძიებაზე, თუმცა კოვიდ პანდემიის შეზღუდვებმა ეს პროცესი შეაჩერა. მიუხედავად იმისა, რომ გასაუბრებისას აღინიშნა იმ აქტივობების შესახებ, რომელიც ინტერნაციონალიზაციის კუთხით განახორციელეს აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა, მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა/სკოლამ შეიმუშავოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომლის განხორციელებაც უფრო გააძლიერებს სადოქტორო პროგრამას და მასში ჩართული განმახორციელებლების ინტეგრაციას საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით სივრცესთან.
შესაფასებლად წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია სდასუ-ს ვებ-გვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგიდან.
პროგრამის მოდიფიცირების და სრულყოფის მიზნით რექტორის 2020 წლის 23 დეკემბრის N99 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი პროგრამის ხელმძღვანელის, აფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დაინტერესებული მხარეების მონაწილობით. მათი თვალსაზრისების გათვალისწინებით გადამუშავდა პროგრამი მიზნები და სწავლის შედეგები, მათი მიღწევის სწავლისა და სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსების ჩამონათვალი და სილაბუსების შინაარსი. განისაზღვრა სამიზნე ნიშნულები. რადგან ამ პროგრამას მხოლოდ ერთი კურსდამთავრებული ჰყავს, სამიზნე ნიშნულების განსაზღვრისას გამოყენებული იქნა სხვა მომიჯნავე სადოქტორო პროგრამების შედეგების შეფასების მაჩვენებლები. თუმცა , მიმდინარე ეტაპზე 2 დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომი მსვლელობის პროცესშია, შედეგად, შესაძლებელია სამიზნე ნიშნულების გადამოწმება და რეალობასთან ადეკვატური ნიშნულების განსაზღვრა.
პროცესი წარიმართა ,,საგანამანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად“. პროგრამის შედეგები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანთლებლო პროგრამა;
- უსდ-ის მისია და ფაკულტეტის მიზნები და სტრატეგია;
- ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის მიზნები;
- შრომის ბაზრის, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კვლევა;
- უსდ-ის ვებ-გვერდი: https://sdasu.edu.ge/ka/misia
- პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა/სკოლამ შეიმუშავოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ,,ეკონომიკა“ სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ,,ეკონომიკის დოქტორი“ თანხვედრაში, შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. იგი შეესაბამება კვალიფიკაციათა ჩარჩოს დოქტორანტურის საფეხურის

დონეს.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა დაადასტურეს დაინტერესებულმა მხარეებმა: ადმინისტრაციამ, აკადემიურმა პერსონალმა, მოწვეულმა პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულმა და დამსაქმებლებმა. დაწესებულების წარმომადგენლების მიერ მათთვის გაცნობილი იქნა სწავლის შედეგები.

პროგრამის შედეგები შესაბამისობაშია კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროების მოთხოვნებთან, სადაც გადაწყვეტილებების მიღებისას სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, ანალიზის და პროგნოზირების უნარები მოითხოვება. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შედეგების განსაზღვრისთვის უნივერსიტეტმა შრომის ბაზრის სპეციალური კვლევა შეუკვეთა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს და კვლევის შედეგები გამოყენებულ იქნა პროგრამის შედეგების განახლებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილია მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს პროგრამის მიზნებს და შედეგებს.

სდასუ-ში სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება რეგულირდება სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმით (2019). ამ დოკუმენტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის უნდა დადგინდეს სამიზნე ნიშნული, რომელიც ასახავს მოლოდინს, თუ რა დონით მიაღწევს სტუდენტი თითოეულ სწავლის შედეგს. თუ პროგრამის დასრულების შემდეგ სწავლის შედეგების შეფასების დონე სამიზნე ნიშნულებთან თანხვედრაშია, ეს აჩვენებს, რომ პროგრამის მიზნები მიღწეულია. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა განისაზღვრება პროგრამის ხანგრძლივობით. პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება იმ კომპონენტებში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება; სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია სადოქტორო ნაშრომის საფუძველზე.

შედეგების შეფასებისათვის გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდები, როგორებიცაა სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი; შეფასება სტუდენტების და დამსაქმებლების მიერ; შეფასება კოლეგების მიერ; სილაბუსების შემოწმება - შეფასება და თვითშეფასება. მონიტორინგის გზით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი, მიღებული შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარება გამოყენებულია პროგრამის გაუმჯობესებისთვის, საჭიროების შემთხვევაში პროგრამის მიზნების/ შინაარსის/სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მოდიფიცირებისთვის. პროგრამის შედეგების უზრუნველყოფის მიზნით არსებობს სტუდენტთა კვლევითი ინიციატივების მხარდაჭერის ღონისძიებები, დამსაქმებლებთან თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება და სხვა ღონისძიებების გატარება, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს სწავლის შედეგების გაუმჯობესებას. მიუხედავად იმისა, რომ კურსდამთავრებული და აქტიური სტუდენტები ყველა დასაქმებულია პროფილით, აღსანიშნავია, რომ დამსაქმებლებთან ინტერვიურების პროცესში აღინიშნა მათი მხრიდან მზაობა კურსდამთავრებულების შემდგომი დასაქმების საკითხზე. ისინი ერთობლივად ატარებენ კონფერენციებს, არიან სადოქტორო ნაშრომის შემფასებლები და სათანადოდ იცნობენ კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; ○ ინტერვიუ უნივერსიტეტის რექტორთან, ადმინისტრაციასთან; ○ ინტერვიუ პოტენციურ დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან; ○ თვითშეფასების კითხვარი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე პირთა პროგრამაზე მიღებას. ამასთან, ,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 50-ე მუხლის თანახმად, უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი პროფილის მქონე პროგრამის კურსდამთავრებულს. პროგრამაზე სწავლის მსურველს მოეთხოვება: უცხოური (ინგლისური) ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა, რაც შეიძლება დასტურდებოდეს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით ან ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატით. ენის გამოცდიდან ან შესაბამისი სერთიფიკატის წარმოდგენისგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, საქართველოში ან უცხოეთში შესაბამის უცხოურ ენაზე მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (რომლის ავთენტურობა დადასტურებული უნდა იყოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ) წარდგენისას; ასევე მობილობის წესით გადმოსულ პირს, რომელიც საქართველოს ან უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაზე სწავლობს, აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და სდასუ-ს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“ განსაზღვრულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ საკონკურსო შერჩევისას ყურადღება მახვილდება ისეთი პრეტენდენტის შერჩევაზე, რომელიც დაძლევს სადოქტორო პროგრამის მოთხოვნებს და მიაღწევს პროგრამის შედეგებს. ინგლისური ენის სპეციალისტთან გასაუბრებისას დაზუსტდა, რომ მათ შეისწავლეს სხვა უნივერსიტეტის ანალოგიური პროგრამების მოთხოვნები უცხო ენასთან მიმართებაში და ისე განსაზღვრეს წინაპირობები. საუნიერსიტეტო გამოცდის დროს დგება ტესტები ეროვნული საგამოცდო ცენტრის მიერ შემუშავებული ტესტების მსგავსი მეთოდით. ამდენად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სრულ თანხვედრაშია ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. იგი ლოგიკურ თანხვედრაშია პროგრამის შედეგებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი); ○ სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;

○ ვებ-გვერდი www.sdasu.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „ეკონომიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება უნივერსიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიას, ასევე ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემას. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტები სრულად უზრუნველყოფს სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევას. სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა მოიცავს არანაკლებ 3 წელს, სასწავლო კომპონენტი განისაზღვრება 50 კრედიტით (1 კრედიტი შეადგენს 25 საათს) არჩევით სასწავლო კურსებს/კომპონენტებს 15 კრედიტი ეთმობა. სავალდებულო სასწავლო კურსები/კომპონენტები წარმოდგენილია 35 კრედიტით, რომელიც მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს: სწავლების თანამედროვე მეთოდები (5 კრედიტი); ეკონომიკური პოლიტიკა (5 კრედიტი); ეკონომიკური კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი (5 კრედიტი), მდგრადი განვითარების თანამედროვე გამოწვევები (5 კრედიტი), არჩევითი სასწავლო კურსები/კომპონენტები კი - 15 კრედიტითაა განსაზღვრული. სავალდებულო სასწავლო კურსები - 35 კრედიტს შეადგენს, პროფესორის ასისტენტობას - 5 კრედიტი, დარგობრი სემინარს კი - 10 კრედიტი ეთმობა.

ზემოჩამოთვლილი სასწავლო კურსები დოქტორანტებს სწავლა/სწავლების სტრატეგიების, სწავლის მეთოდების და ფორმების შერჩევის, ასევე ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციების განზოგადების უნარებს უვითარებს ოპტიმალური ეკონომიკური გადაწყვეტილებების შემუშავების მიმართულებით.

თავის მხრივ, სასწავლო კურსი: ეკონომიკური კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი, დოქტორანტს ეთიკური ნორმების დაცვით სამეცნიერო კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების უნარს უყალიბებს.

სასწავლო კურსი მდგრადი განვითარების თანამედროვე გამოწვევები, ლოკალური და გლობალური გამოწვევების გამოვლენას, ასევე ეროვნულ ეკონომიკებში წარმოქმნილი რისკების განეიტრალებას და აღმოფხვრას ემსახურება. ამ ფონზე დიდი ყურადღება მდგრადი განვითარების თანამედროვე გამოწვევების გამოვლენას და მათი ეფექტური მართვის კონცეფციების განზოგადებას ეთმობა. ამდენად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი „ეკონომიკის სადოქტორო“ პროგრამა ორიგინალობით გამოირჩევა.

ამასთან, ერთობ საშურია სასწავლო კურსის „სწავლების მეთოდები“-ს ათვისება, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს:

- დაეუფლოს სწავლების უახლეს მეთოდებს;
- ამასთან, აითვისოს სწავლების თანამედროვე თეორიები, გამოკვეთოს უმაღლესი სკოლის განვითარების თანამედროვე ტენდენციები;
- ორიენტირდეს სწავლებაზე;
- ოპტიმალურად აირჩიოს სწავლების მეთოდები, პრინციპები და კომპონენტები;
- აქტიურად გამოიყენოს სწავლების ინტერაქტიული მეთოდები;
- მოახდინოს მოპოვებული ინფორმაციის კლასიფიკაცია და ანალიზი, განსხვავებული კონცეფციების შეპირისპირება და მათ შორის, ლოგიკური ურთიერთმიმართებების გამოვლენა;
- სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით მოამზადოს ლექციები და მოახდენოს მისი პრეზენტაცია;
- დამოუკიდებლად დაგეგმოს და წარმართოს საკუთარი სწავლის პროცესი.

ამასთან, საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს, სასწავლო კომპონენტის „დარგობრივი სემინარის“ თემის შერჩევა დოქტორანტის, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით. რაც ჩვენი აზრით, ღირებული და ორიგინალური სამეცნიერო ნაშრომის შექმნის შესაძლებლობას იძლევა.

პროგრამის ზოგიერთ სასწავლო კურსს/კომპონენტს (დარგობრივ სემინარს) გააჩნია შესწავლის წინაპირობა. პროგრამის კომპონენტების ნაწილს შესწავლის წინაპირობა არ გააჩნია, რადგან მათი ათვისება არ არის განპირობებული პროგრამის რომელიმე სხვა კომ-პონენტის შესწავლით მიღწეული კომპეტენციებით. ინფორმაცია პროგრამის კომპონენ-ტების შესწავლის თანმიმდევრობის და შესწავლის წინაპირობების შესახებ მოცემულია პროგრამის სასწავლო გეგმასა და პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ სასწავლო კომპონენტი „პროფესორის ასისტენტობა“ მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დოქტორანტებს სწავლების პროცესში პრაქტიკულ უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში, მათი წარმატებული საგანმანათლებლო საქმიანობის შემდგომი განვითარების ქვაკუთხედად შეიძლება იქცეს.

აკადემიური წერის სასწავლო კურსით განსაზღვრულია დასასრულს სამეცნიერო სტატიის

მომზადება. აღნიშნული ნაშრომის შესრულება აკადემიური წერისა და კვლევითი უნარების გამომუშავებას უწყობს ხელს. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტების ოპტიმიზაციის მიზნით არჩევითი სასწავლო კურსების სახით გათვალისწინებულია 5-კრედიტიანი სასწავლო კურსების: 1. ინგლისური ენა ეკონომისტებისთვის; 2. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევასა და სწავლებაში; 3. აკადემიური წერა; ეკონომეტრიკა და მეცნიერების მენეჯმენტის, სასწავლო კურსების შეთავაზება. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ არჩევითი სასწავლო კურსების მრავალფეროვნება და აღნიშნული კომპონენტებისთვის გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის მატება თითოეული სწავლის შედეგის სამივე დონეზე: ცოდნის გაცნობიერებას-გაღრმავებას-განმტკიცებას შესაძლებელს ხდის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; ○ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი); ○ სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსები; ○ კურიკულუმის რუკა; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.sdasu.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს, სასწავლო კომპონენტის „დარგობრივი სემინარის“ თემის შერჩევა დოქტორანტის, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, რაც ღირებული და ორიგინალური სამეცნიერო ნაშრომის შექმნის შესაძლებლობას იძლევა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან, თუმცა მიზანშეწონილია გარკვეული კორექტივები: სასწავლო კურსის „ეკონომიკური კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი“ მიზანია დოქტორანტმა შეისწავლოს ეკონომიკური კვლევის საერთო მეთოდები, პირველადი და მეორადი მონაცემების დამუშავებისთვის საჭირო ანალიტიკური მეთოდები და მიდგომები, გამოუმუშავდეს ეთიკური ნორმების დაცვით სამეცნიერო კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვის და განხორციელების უნარი. თუმცა აღნიშნული სასწავლო კურსი ემყარება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის პროცესში SPSS პროგრამის გამოყენებას. შესაბამისად, მიზანშეწონილია, სასწავლო კურსის სახელწოდებაში აისახოს მისი შინაარსი და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით - „ეკონომიკური კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი SPSS პროგრამის გამოყენებით“.აღნიშნულ თვალსაზრისს კურსის ხელმძღვანელები დაეთანხმნენ. სასწავლო კომპონენტის „მდგრადი განვითარების თანამედროვე გამოწვევების“ მიზანია სიღრმისეულად გამოიკვლიოს გლობალური და ლოკალური გამოწვევები მდგრადი განვითარების ისეთი მიმართულებების მიხედვით, როგორიცაა: მდგრადი განვითარების კონცეფცია, მიზნები, ინდექსები და ინდიკატორები, სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ასპექტები, განუსზღვრელობა, როგორც მდგრადი განვითარების თანმხლები ფაქტორი. რათა მათ შეძლონ კვლევის პროცესში მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპების გენერირება. სასწავლო კომპონენტის „პროფესორის ასისტენტობა“ მიზანია ხელი შეუწყოს სწავლების პროცესებთან დაკავშირებული პრაქტიკული უნარების განვითარებას, რაც ქმნის წარმატებული საგანმანათლებლო საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას. ამასთან, მიზანშეწონილია, სასწავლო კურსის ,,აკადემიური წერა“ ბოლო თემა ჩანაცვლდეს ისეთი თემით, რომელიც სტუდენტს მიაწვდის ცოდნას კვლევის შედეგების წარდგენის, არგუმენტირებულად დაცვის, სამეცნიერო დისკუსიის წარმართვის და სხვა უნარებს, რომელიც უმნიშვნელოვანესია კვლევითი პროდუქტის საჯარო განხილვის და აღიარების პროცესის ხელშეწყობისთვის. აღნიშნულ თვალსაზრისს კურსის ხელმძღვანელი დაეთანხმა. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის არჩევით ნაწილში გათვალისწინებული სასწავლო კურსების/კომპონენტების: ინგლისური ენა ეკონომისტებისათვის (5 ECTS), *ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევასა და სწავლებაში* (5 ECTS), *აკადემიური წერა* (5 ECTS), *ეკონომეტრიკა* (5 ECTS), *მეცნიერების მენეჯმენტი* (5

ECTS) კრედიტები აღემატება არჩევითი ნაწილისთვის გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობას, რაც უზრუნველყოფს არჩევანის შესაძლებლობას.

ამავდროულად, პროგრამის განვითარების მიზნით, სასურველია, დამუშავდეს ისეთი არჩევითი კურსები, როგორებიცაა ,,მაკროეკონომიკა", ,,მიკროეკონომიკა", ,,განვითარების ეკონომიკა" და ა.შ. გაღრმავებული დონეები და შეთავაზებულ იქნას არჩევითი კურსების სახით.

დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ფორმირდება სამეცნიერო ხელმძღვანელთან კონსულტაციით, პროგრამის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით.

სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის კვალიფიციურ მკვლევარად ჩამოყალიბებას. სადოქტორო პროგრამის კვლევით კომპონენტს შეადგენს სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა. სადისერტაციო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის დასაბუთებულ შედეგს, უნდა იყოს აქტუალური, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე, მასში გადაწყვეტილი უნდა იყოს დარგში აქტუალურად მიჩნეული ერთი საკითხი მაინც, რითაც დოქტორანტს უნდა შეჰქონდეს საკუთარი წვლილი დარგის განვითარებაში. სადისერტაციო ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

სასწავლო კომპონენტის „დარგობრივი სემინარის" თემის შერჩევა ხდება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან და დოქტო-რანტთან შეთანხმებით. სემინარი არ შეიძლება იყოს სადისერტაციო ნაშრომის შემადგენელი ნაწილი. სემინარის განმავლობაში დოქტორანტი ეცნობა რელევანტურ ლიტერატურას, სემინარი დასრულდება სასემინარო ნაშრომის შესრულებით, რაც ემსახურება აკადემიური წერისა და კვლევითი უნარების ჩამოყალიბებას. ნაშრომი ფასდება დარგობრივი კომისიის მიერ.

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ლოგიკურად და თანმიმდევრულად არის დალაგებული. დოქტორანტის კომპეტენციების ფორმირება ხდება თანმიმდევრულად, პროგრესირებადი გზით - ახალი კომპეტენციების შეძენით და უკვე არსებულის შემდგომი გაღრმავებით და განმტკიცებით. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას ეროვნული სა-კვალიფიკაციო ჩარჩოს მე-8 დონის აღმწერით. სადოქტორო პროგრამას თან ახლავს კურიკულუმის რუკა, სადაც აღწერილია რომელი სასწავლო კურსი ან/ და კომპონენტი სწავლის რომელ შედეგზე გადის და რა დონით ავითარებს მას. კურიკულუმის რუკის თანახმად თითოეული სწავლის შედეგი სამივე დონეზე (გაცნობა; გაღრმავება; განმტკიცება) ვითარდება.

ინფორმაცია პროგრამის შესახებ საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

პროგრამის სტუდენტთა (გამოკითხულთა 100 %) აზრით, ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის კვლევითი და სასწავლო კომპონენტი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება სფეროს აქტუალურ საკითხებს და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას. თუმცა, გადასასინჯია სასწავლო კურსის ,,სწავლის მეთოდები" ძირითადი ლიტერატურა, სადაც წარმოდგენილია

მაგალითად ,,მოდულური პროფესიული პროგრამების გზამკვლევი“, რაც არ არის სადოქტორო საფეხურისთვის მიზანშეწონილი. აღნიშნულ თვალსაზრისს კურსის ხელმძღვანელი დაეთანხმა. სასწავლო კურსით/კომპონენტით განსაზღვრული და დეტალურად აღწერილია სტუდენტთა ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები, კომპონენტები, ქულები და კრიტერიუმები. სწავლის შედეგები შეფასდება იმ სასწავლო კურს(ებ)/კომპონენტებში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის განმტკიცება. თითოეული სავალდებულო სასწავლო კურსის/კომპონენტის შედეგების მიღწევა აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის, მათი შედეგები ავსებენ ერთმანეთს და ერთობლივად ქმნიან პროგრამის მთლიან შედეგებს - კურსდამთავრებულის კომპეტენციებს. პროგრამის სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსები განთავსებულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში და შეზღუდვის გარეშე ხელმისაწვდომია დოქტორანტებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“; ○ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი); ○ სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსები; ○ კურიკულუმის რუკა; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.sdasu.edu.ge
რეკომენდაციები: ○ მიზანშეწონილია, სასწავლო კურსის „ეკონომიკური კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი“ სახელწოდებაში აისახოს მისი შინაარსი და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით - „ეკონომიკური კვლევის მეთოდები, მონაცემთა დამუშავება და ანალიზი SPSS პროგრამის გამოყენებით“; ○ მიზანშეწონილია, სასწავლო კურსის ,,აკადემიური წერა“ ბოლო თემა ჩანაცვლდეს ისეთი თემით, რომელიც სტუდენტს მიაწვდის ცოდნას კვლევის შედეგების წარდგენის, არგუმენტირებულად დაცვის, სამეცნიერო დისკუსიის წარმართვის და სხვა უნარებს, რომელიც უმნიშვნელოვანესია კვლევითი პროდუქტის საჯარო განხილვის და აღიარების პროცესის ხელშეწყობისთვის; ○ გადასასინჯია სასწავლო კურსის ,,სწავლის მეთოდები“ ძირითადი ლიტერატურა, სადაც წარმოდგენილია მაგალითად ,,მოდულური პროფესიული პროგრამების გზამკვლევი“.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ პროგრამის განვითარების მიზნით, სასურველია, დამუშავდეს ისეთი არჩევითი კურსები, როგორებიცაა ,,მაკროეკონომიკა“, ,,მიკროეკონომიკა“, ,,განვითარების ეკონომიკა“ და ა.შ. გაღრმავებული დონეები და შეთავაზებულ იქნას არჩევითი კურსების სახით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და კვლევით პროექტებში ჩართვას. სასწავლო კომპონენტის **„დარგობრივი სემინარი“** თემის შერჩევა ხდება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან და დოქტო-რანტთან შეთანხმებით. სემინარი არ შეიძლება იყოს სადისერტაციო ნაშრომის შემადგენელი ნაწილი. სემინარის განმავლობაში დოქტორანტი ეცნობა რელევანტურ ლიტერატურას, სემინარი დასრულდება სასემინარო ნაშრომის შესრულებით, რაც ემსახურება აკადემიური წერისა და კვლევითი უნარების ჩამოყალიბებას. ნაშრომი ფასდება დარგობრივი კომისიის მიერ. კომპონენტის გავლის შემდეგ, დოქტორანტი ახდენს: 1. ეკონომიკის აქტუალურ საკითხებზე, თანამედროვე მიღწევებზე და მეცნიერულ სიახლეებზე დაფუძნებული კვლევის დაგეგმვას, განხორციელებას და ზედამხედველობას; 2. ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავებას; რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება რეფერირებად პუბლიკაციებში. 3. ეკონომიკურ პრობლემათა იდენტიფიცირებასა და ანალიზს მულტიდისციპლინურ ან/და ინტერდისციპლინურ კონტექსტში; 4. პრობლემების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას და დასაბუთებას; 5. ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ

ანალიზს, სინთეზსა და მეცნიერულ შეფასებას;

6. კრიტიკული ანალიზის საფუძველზე კვლევის მეთოდების ეფექტურობის შეფასებას, კორექტირებასა და ახალი მეთოდების შემუშავებას.
7. აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, საკუთარი პასუხისმგებლობით ახორციელებს უახლეს მიღწევებზე დაფუძნებულ კვლევებს, შეიმუშავებს ეკონომიკის განვითარებისათვის მეცნიერულ რეკომენდაციებსა და წინადადებებს, დამოუკიდებლად წარმართავს განვითარებაზე ორიენტირებულ სწავლების პროცესს.

„პროფესორის ასისტენტობა“ (5 ECTS) წარმოადგენს სადოქტორო პროგრამის სავალდებულო კომპონენტს და გათვალისწინებულია პროგრამის მეორე სემესტრში. პროფესორის ასისტენტობის მიზანია ხელი შეუწყოს სწავლების პროცესებთან დაკავშირებული პრაქტიკული უნარების განვითარებას, რაც წარმოადგენს წარმატებული საგანმანათლებლო საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას. პროფესორის ასისტენტობა გულისხმობს სალექციო თემის მომზადებას და ლექციის ჩატარებას, ჯგუფთან მუშაობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების საკითხების, ტექსტების და სხვ. მომზადებას, სტუდენტთა ნაშრომების გასწორებას სტუდენტთათვის კონსულტაციის გაწევას.

დოქტორანტი თავის ხელმძღვანელთან ერთად გეგმავს ასისტირების პროცესს შესაბამისი სასწავლო კურსის განმახორციელებელთან, სკოლის დეკანთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით. კომპონენტის გავლის შემდეგ დოქტორანტი:

1. ეფექტიანად გეგმავს და წარმართავს აკადემიურ პროცესს;
2. არჩევს და იყენებს სწავლების მართებულ სტრატეგიას;
3. ახდენს მასალის ანალიზსა და სინთეზს, ლოგიკურად და დასაბუთებულად გადასცემს ინფორმაციას აუდიტორიას;
4. ამზადებს ლექციასა და სემინარებს და ახდენს მათ პრეზენტირებას;
5. გეგმავს აკადემიური საქმიანობის გაუმჯობესებისთვის საჭირო ღონისძიებებს;
6. ხელს უწყობს სასწავლო პროცესში სტუდენტის მოტივირებასა და პიროვნულ განვითარებას, და საუნივერსიტეტო საზოგადოებაში მის ინტეგრაციას.

პროფესორის ასისტენტობის შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები გაწერილია კომპონენტის სილაბუსში.

სადისერტაციო ნაშრომი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით“ დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და შესარჩევი კონკურსის დაძლევის შემდეგ, სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში სადისერტაციო საბჭო იხილავს და ამტკიცებს სადისერტაციო თემას და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს.

სადისერტაციო თემის და სამეცნიერო ხელმძღვანელის დამტკიცებიდან არაუგვიანეს ერთი თვის განმავლობაში სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით დგება დოქტორანტის ინდივიდუალური (სასწავლო და კვლევითი) გეგმა.

სადისერტაციო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის დასაბუთებულ შედეგს, უნდა იყოს აქტუალური, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე. მასში გადაწყვეტილი უნდა იყოს დარგში აქტუალურად მიჩნეული

ერთი საკითხი მაინც, რითაც დოქტორანტს უნდა შეჰქონდეს საკუთარი წვლილი დარგის განვითარებაში. სადისერტაციო ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრუკლებს მასზე მუშაობას. დოქტორანტურაში სწავლის პროცესში მუდმივად ხდება დოქტორანტის პროგრესის შეფასება. ამ მიზნით, დოქტორანტი ყოველსემესტრულად წარდგება სადისერტაციო საბჭოს დარგობრივი კომისიის წინაშე ანგარიშით კვლევითი კომპონენტის შესრულების შესახებ.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი“, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების კვლევითი, კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო ინიციატივების მხარდაჭერას, მათი ნიჭის გამოვლენის, თვითრეალიზების ხელშეწყობის და თავისუფალი დროის ეფექტიანად გამოყენების უზრუნველსაყოფად.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების დებულება“, რომლის მიზანია სამეწარმეო შესაძლებლობების განვითარებითა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობით სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების უზრუნველყოფა. დებულება ითვალისწინებს ბიზნესის დაწყების მიზნით სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიერ წარმოდგენილი ბიზნეს პროექტების საკონკურსო შერჩევას, გამარჯვებული პროექტების გამოვლენას და დაფინანსებას.

„სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი“ და „სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების დებულება“ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, საჯარო და ხელმისაწვდომია. პროგრამის სტუდენტთა 67% თვლის, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტის კვლევითი ინიციატივების მხარდაჭერას (კონფერენციებში, კვლევით პროექტებში და ა. შ. მონაწილეობა). გამოკითხულთა 33% აღნიშნულს ნეიტრალურად აფასებს. სტუდენტთა და კურსდამთავრებულის ინტერვიურების პროცესში გამოიხატა მადლიერება უნივერსიტეტის მხრიდან კვლევით აქტივობის მხარდაჭერის საკითხზე. ამასთან, დამსაქმებლებთან ინტერვიურების პროცესში აღინიშნა, რომ ხორციელდება ერთობლივი ღონისძიებები, კონფერენციები, სხვადასხვა კომპონენტების შესრულებაში მათი ჩართვა, რათა სტუდენტებმა თეორიული ცოდნა პრაქტიულ საქმიანობასთან დააკავშირონ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება“;
- „დარგობრივი სემინარი“ - სილაბუსი;
- „პროფესორის ასისტენტობა“ - სილაბუსი;
- „სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი“ https://sdasu.edu.ge/media/1001542/2018/07/30/782c66b8c195a19a918648e63fbbb745.pdf
- „სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების დებულება“ https://sdasu.edu.ge/media/1001542/2018/07/31/081bd475cb8cb2bab4db7c368af8a3c8.pdf

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი“, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების კვლევითი, კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო ინიციატივების მხარდაჭერას, მათი ნიჭის გამოვლენის, თვითრეალიზების ხელშეწყობის და თავისუფალი დროის ეფექტიანად გამოყენების უზრუნველსაყოფად.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღწერა და შეფასება

სადოქტორო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის მიზანთან, შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურიბის მქონე მკვლევარის მომზადებას. სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება ისეთი მეთოდები როგორიცაა: ინტერაქტიული ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვა. სწავლება-სწავლის მეთოდები, თავის მხრივ, მოიცავენ სხვადასხვა აქტივობებს წერითი და ვერბალური, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის, ახსნა-განმარტების, ზეპირსიტყვიერის, დემონსტრირების, პრეზენტაციის, დისკუსია/დებატების, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების, შემთხვევის ანალიზის (Case Study), გონებრივი იერიშის (Brain storming), ანალიზის, სინთეზის, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების, პრაქტიკული მუშაობის მეთოდების და სხვ. სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევა გამოყენება მიმართულია სასწავლო კომპონენტში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის სტიმულირებაზე, კვლევით კომპონენტში - კვლევის უნარების გამომუშვებასა და სრულყოფაზე.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების

მეთოდოლოგია, რომელიც იქნება გამოყენებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას. პროგრამის კომპონენტის მიზნის, დაგეგმილი სწავლის შედეგების, შინაარსის და სპეციფიკის გათვალისწინებით შერჩეული სწავლა-სწავლების მეთოდები მითითებულია კომპონენტების სილაბუსებში. პროგრამის კომპონენტში გამოყენებული მეთოდები უზრუნველყოფენ კომპონენტში დაგეგმილი შედეგების მიღწევას, ხოლო ყველა კომპონენტში გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა - მთლიანად პროგრამით დაგეგმილი შედეგების მიღწევას. ინფორმაცია სწავლება-სწავლის მეთოდების შესახებ ასახულია სადოქტორო პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში, რომლებიც ატვირთულია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში და შეზღუდვის გარეშე ხელმისაწვდომია დოქტორანტებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი); ○ „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება“; ○ სილაბუსები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების სისტემა ეყრდნობა კანონმდებლობით აღიარებულ სისტემას და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასებისა და კრედიტის მინიჭების სტანდარტებს.

სასწავლო კომპონენტში დოქტორანტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასება მოიცავს ორ ფორმას შუალედურს და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციების ზღვარია 31 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50%. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის. შუალედური ან დასკვნითი შეფასების გამოყენებით.

სილაბუსებში დეტალურად არის გაწერილი შეფასების კრიტერიუმები, ფორმები. კურსის ფარგლებში შეფასების კრიტერიუმებისა და ფორმების შერჩევა ხდება დამოუკიდებლად ლექტორის მიერ, ხარისხის ცენტრთან და პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციის საფუძველზე. თუმცა აღნიშნული კრიტერიუმების შემუშავებაში მათ აქვთ სრული თავისუფლება. როგორც გასაუბრებისას აღნიშნეს ლექტორებმა მათ ხშირად აქვთ შეხვედრები სილაბუსებთან და პროგრამასთან დაკავშირებით, შესაბამისად ყველა სიახლე, რომელსაც ახორციელებს უნივერსიტეტი მათ თავიდანვე იციან და ახალ სტანდარტებს არგებენ თავიანთ სილაბუსებს.

როგორც სტუდენტებმა განგვიმარტეს, თვლიან, რომ შეფასება არის გამჭირვალე, მათთვის გასაგებად ჩამოყალიბებული. შესაბამისად მარტივია სილაბუსის მეშვეობით მიიღონ ინფორმაცია თუ რა კრიტერიუმების მიხედვით აფასებს მათ ლექტორი. შეფასებასთან დაკავშირებით უკუკავშირი სტუდენტთან მოკლე დროში ხორციელდება. სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას სადისერტაციო საბჭოს მიერ წარდგენილი ანგარიშების საფუძველზე, რომელიც სემესტრის დასასრულს ტარდება. ანგარიშის შეფასება არ არის ქულებში გაზომილი, თუმცა სადისერტაციო საბჭო დოქტორანტს სთავაზობს რეკომენდაციებს სასწავლო-კვლევით პროცესშში წარმოქმნილ პრობლემებთან დაკავშირებით.

დისერტაციის წარდგენა და მსვლელობის დაწყება ხდება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დადებითი დასკვნის საფუძველზე. დისერტაცია ფასდება კომისიური წესით. დისერტაციის შეფასების კრიტერიუმები ჩაშლილია დეტალურად სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში. განსაზღვრულია დისერტაციისადმი წარდგენილი შინაარსობრივი და ტექნიკური აკადემიური სტანდარტები.სადისერტაციო საბჭოს დებულებაში დეტალურად არის აღწერილი წარდგენის და დაცვის პროცედურები. სადისერტაციო საბჭო გამოყოფს მინიუმ 2 ოპონენტს. განმარტებულია ოპონენტების დადებითი და უარყოფითი შეფასების შემთხვევების რეგულირება. სადისერტაციო კომისია შედგება მინიმუმ 9 წევრისგან. იგი გადაწყვეტილებას დისერტაციის შეფასებაზე იღებს ფარული წესით. დისერტაცია დაცულად მიიჩნევა, თუ სადისერტაციო დარგობრივი კომისიის წევრთა შეფასებების საშუალო მაჩვენებელი შეადგენს დადგენილი მაქსიმალური

შეფასების 51%-ზე მეტს. ხარისხის მინიჭების გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში; ○ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ეკონომიკა; ○ ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება; ○ ინტერვიუები სტუდენტებთან, მეცნიერ-ხელმძღვანელებთან და სადისერტაციო საბჭოს წევრებთან და მდივანთან; ○ სილაბუსები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტთა ინფორმაციულ მხარდაჭერას აკადემიური და ადმინისტრაციული მიმართულებით, უზრუნველყოფს: პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და სხვა. ასევე, სტუდენტს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდიდან, ელექტრონული ფოსტიდან და პლატფორმიდან, სადაც იტვირთება ყველა სასწავლო კომპონენტის სილაბუსები, სასწავლო მასალა, შეფასებები და სხვა ინფორმაცია, რაც გათვალისწინებული სასწავლო პროგრამის ფარგლებში. დოქტორანტებს აქვთ ინდივიდუალური კვლევითი და სასწავლო გეგმა, რის შედგენაშიც მათ ეხმარებათ და შემდგომ უკვე მონიტორინგს უწევს მეცნიერ-ხელმძღვანელი პროგრამის ხელმძღვანელის კურატორობით. სწავლის დაწყებამდე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე იდება ინფორმაცია სემესტრის დაწყების, დასრულების, დასკვნითი და დამატებითი გამოცდის ვადების შესახებ. უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ საშუალება გარდა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საათებისა დამატებითი კონსულტაციები მიიღონ, ეს ოფიციალურად არის გაწერილი პერსონალის დატვირთვის სქემაში. უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობდა საერთაშორისო მიმართულების გაუმჯობესების მიზნით, თუმცა პანდემიამ ხელი შეუშალათ ახალი პროექტების განხორციელებაში. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო კონფერენციებში, უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს კონფერენციას, სადაც სტუდენტებს საშუალება აქვთ მიიღონ მონაწილეობა. ექსპერტებს გამოგზავნილი გვქონდა სამი აქტიური სტუდენტის და კურსდამთავრებულის სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი, საიდანაც ჩანს მათი აქტივობა როგორც ეროვნულ, ასევე საერთშორისო კონფერენციებსა და დამოცემებში. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური ინიციატივების დაფინანსების პროგრამა, ამ პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია დაფინანსდეს სხვადასხვა მიმართულებები, როგორიცაა საერთაშორისო კონფერენცია, პუბლიკაციები და ა.შ. დოქტორანტურის სტუდენტები ამ შესაძლებლობას იყენებენ, მაგალითად ერთ-ერთ სტუდენტს დაუფინანსეს საერთაშორისო კონფერენცია. თუ დოქტორანტს თვითონ არ აქვს საშუალება დააფინანსოს სამეცნიერო აქტივობები, რაც არის გათვალიწინებული პროგრამით, უნივერსიტეტი ეხმარება ამ მიმართულებით.

აღსანიშნავი ფაქტია, რომ უნივერსიტეტის პარტნიორი დამსაქმებლები არიან ასევე, უნივერსიტეტები, რაც საშუალებას აძლებს დოქტორანტს, რომ სამომავლოდ გააგრძელოს აკადემიური საქმიანობა. ასევე, ტარდება ერთობლივი კონფერენციები დამსაქმებელ ორგანიზაციებთან, მაგალითად გორის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად.

ექსპერტებს გვქონდა საშუალება, რომ პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შევხედროდით. უნივერსიტეტს ძალიან საინტერესო და წარმატებული კურსდამთავრებულები და სტუდენტები ყავს.

მათ აღწერეს ყველა ის მექანიზმი რითაც უნივერსიტეტი ხელს უწყობს სასწავლო პროცესში და არა მხოლოდ სასწავლო პროცესით გათვალისწინებულ აქტივობებში.

ერთ-ერთი დოქტორანტის წარმატებაში აქტიური როლი შეასრულა სწორედ უნივერსიტეტმა, ვინაიდან თავდაპირველად უნივერსიტეტის რეკომენდაციით დაიწყო მუშაობა.

ახალი პროგრამით გათვალიწინებულია ოთხი სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება, სანამ დოქტრორანტი უშუალოდ დისერტაციას წარადგენს. ერთი უნდა იყოს კონფერენციის მოხსენება, დანარჩენი სამი რეცენზირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება. უნივერსიტეტს აქვს ჟურნალების სია, რომელსაც ის აღიარებს, საიდანაც სტუდენტს შეუძლია აირჩიოს რეცენზირებადი ჟურნალი სტატიის გამოსაქვეყნებელად. მათ შორისაა იმპაქტ ფაქტორის მქონე სამეცნიერო გამოცემები, რომელბიც ინდექსირებულია საერთაშორისო ბაზებში (1.ELSEVIER (Scopus; Science Direct; Sciencedirect, Scival Funding (Funding Institutional), 2. Clarivate Analitics, 3. Ulrich,s Inderx, 4. ERICH PLUS, 5. EBSCOhost, 6. PMC, 7. Google Scholar) და ასევე, ქართულენოვანი 9 სამეცნიერო ჟურნალი. თუმცა ამ კუთხითაც თავისუფლები არიან სტუდენტები, თუ დოქტორანტი სხვა ჟურნალში მოინდომებს სტატიის გამოქვეყნებას, რომელიც არ არის უნივერსიტეტის სიაში. ამ შემთხვევაში საბჭო ამტკიცებს, ან არ ამტკიცებს ჟურნალს.

ყოველწლიურად და სემესტრულად სტუდენტები იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა გამოკითხვებში, თუმცა მათ ძალიან აქტიური თანამშრომლობა აქვთ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, მეცნიერ-ხელმძღვანელთან ფაკულტეტთან. შესაბამისად, ყველა პრობლემა, თუკი არსებობს, ძალიან მალე არის გამოსწორებული უნივერსიტეტის მხრიდან.

სასწავლო კომპონენტებში შეფასებები ეტვირთებათ ორ დღეში, ძირითადად კი იმავე დღეს, როდესაც ტარდება გამოცდა, შუალედური შეფასება და ა. შ.

უნივერსიტეტში ფუქნციონირებს პრობლემური საკითხების საბჭო, რომლის ფარგლებშიც ხდება სასწავლო და კვლევით პროცესებში, ასევე ადმინისტრაციულ მართვაში არსებული პრობლემების განხილვა და გადაწყვეტა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ეკონომიკა;
- ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
- ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულთან;

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- უნივერსიტეტმა, სასურველია, უფრო მეტად იზრუნოს და ეფექტიანი გახადოს სტუდენტების ჩართულობა კვლევით პროექტებში სწავლების ადრეულ საფეხურებზე, რაც ხელმძღვანელთან ერთად სამეცნიერო პროდუქტის შექმნის გზით არის შესაძლებელი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტისა და მეცნიერ ხელმძღვანელის თანამშრომლობა განისაზღვრება ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის სადისერტაციო და სადოქტორო დებულებით. შესაძლებელია, საკვლევი თემიდან გამომდინარე, ჰყავდეთ ორი თანახელმძღვანელი, ან კონსულტანტი. სადისერტაციო საბჭო უზრუნველყოფს დოქტორანტს სამეცნიერო ხელმძღვანელით, თუმცა მას თვითონ აქვს საშუალება ხელმძღვანელი აირჩიოს. ამავე დებულებით განისაზღვრება სამეცნიერო ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები.
პანდემიამდე დოქტორანტი და ხელმძღვანელი კვირაში ერთხელ ან ორჯერ პირისპირ ხვდებოდნენ კონსულტაციაზე. პანდემიის პერიოდში მიმდინარეობს ონლაინ თანამშრომლობენ. როგორც აღნიშნეს დოქტორანტებმა, მათ არასდროს შექმნიათ პრობლემა ხელმძღვანელთან, ისინი მათ არა მხოლოდ სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურის აგებაში და საკვლევი მასალის მოძიებასა და სხვა თემასთან დაკავშირებით არსებულ აქტივობებში ეხმარებიან, არამედ ისინი მეცნიერ-ხელმძღვანელისგან იღებენ კონსულტაციებს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების, კონფერენციებში მონაწილეობის და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტების შესახებ. მეცნიერ-

ხელმძღვანელები დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები არიან, რაც დასტურდება დოკუმენტალურადაც, კოლეგიალური აღიარებებით და გასაუბრებით. ისინი მონდომებით და გულისხმიერებით ასრულებენ დაკისრებულ ფუნქციებს, რაც ვლინდება მათი სტუდენტების მაღალკვალიფიციურობასა და პროფესიონალიზმში, მათ კარიერულ მიღწევებში.

მეცნიერ-ხელმძღვანელი ხელმძღვანელობას უწევს დოქტორანტის ინდივიდუალური, სასწავლო და კვლევითი გეგმის შედგენას და ზედამხედველობას უწევს მის განხორციელებას.

ეხმარება კვლევის პროცესში წარმოქმნილი პრობლემის გადალახვაში, აფასებს დოქტორანტის მიერ შესრულებული კვლევის ხარისხს. კონსულტაციას უწევს სამეცნიერო კონფერენციებში, საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში კვლევის გამოქვეყნების საკითხებში.

პერიოდულად აფასებს დოქტორანტის პროგრესს, ამისათვის დოქტორანტი წარადგენს ყოველ სემესტრულ ანგარიშს. ანგარიშის წარდგენა ხდება დარგობრივ კომისიაზე, ანგარიშს თან ერთვის ხელმძღვანელების წერილობითი შეფასება.

დოქტორანტს დასაბუთებული განაცხადით შეუძლია თემის შეცვლა და კორექტირება, ასევე მეცნიერ-ხელმძღვანელის შეცვლა სწავლის პერიოდში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ეკონომიკა;
- ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
- ინტერვიუები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულთან, მეცნიერ-ხელმძღვანელებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის გახორციელებაში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომელთა კომპეტენცია რელევანტურია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობაა 8, მათ შორის 4 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი, ერთი ასისტენტ-პროფესორი, აფელირებულია 4 პროფესორი და ერთი აფელირებული ასისტენტ-პროფესორი (სულ 5 აფელირებული).

მოწვეული პერსონალის რაოდენობა 4. სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა 5.

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ საჭიროების შემთხვევაში უსდ-ს აქვს მოწვეული პერსონალის რაოდენობის დამატების შესაძლებლობაც, რითაც დაცულია აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი და შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამის მდგრადობა. აღნიშნული დასტურება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობით, ასევე პერონალის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციებით (ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიები და კვლევების მიმართულებები შესაბამისობაშია პერსონალის მიერ წაკითხული კურსების თემატიკასთან). პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა/დატვირთვა, წაკითხული კურსების თემატიკა და კურსების მიმართულებები შესაბამიობაში განსახილებლი სტანდარტის მოთხოვნებთან. აღნიშნული დასტურდება გასუბრებებით, ინტერვიუერთა პასუხებით. შესაბამისად, პროგრამის ადამიანური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. პროგრამის ხელმძღვანელს პროფესორ დავით კბილაძეს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და მრავალწლიანი გამოცდილება, აქტიურად არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ჰოლისტურად ხედავს და აანალიზებს პროგრამის მიზანს, მისაღწევ შედეგებს უსდ-ს სტრატეგიულ გეგმასა და პრიორიტეტულ მიმართულებებთან, ბაზრის კვლევასთან კორელაციაში, რაც კარგად ჩანს მის პირად საქმესა და მასთან ინტერვიუშიც. უსდ-ს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი, სადაც განსაზღვრულია მოწვეული პერსონალის შერჩევის წესი და დასაქმების შესაძლებლობები. უსდ-ში აკადმიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობა რეგულირდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესით, რის მიხედვითაც განისაზღვრება უსდში პერსონალის დატვირთვა, ფუნქციები და შრომის ანაზღაურების ფორმები. უსდში განასხვავებენ: აფელირებულ, აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს, რომლებთანაც მყარდება სხვადასხვა ტიპის ა.ბ.გ.დ. კატეგორიის ხელშეკრულებები. აღნიშნული დასტურდება ადმინისტრაციასთან, პერსონალთან ინტერვიუებით/გასაუბრების პროცესით. შეჯამების სახით, უსდს გააჩნია პერსონალის მართვის მკაფიო პოლიტიკა; რაც ძალზედ მნიშვნელოვანია პროგრამის მდგრადი, ეფექტური ფუნქციონირებისათვის და პროგრამით განსაზღვრული მიზნების და შედეგების მიღწევისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სტრუქტურული ერთეულების დებულებები(https//sdasu.edu.ge/ka/chyshesakheb/noratiuli-baza); ○ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები; ○ პერსონალის ხელშეკრულების ფორმები; ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი; ○ „აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის

მეთოდოლოგია“დებულებები/ინდიკატორები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მოწვევა შესაძლებელი იყოს უცხოური უნივერსიტეტებიდანაც, რაც გააძლიერებს უსდ-ს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ინსტიტუცია მუდმივად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. უსდ-ს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, რომლის მიზანს წარმოადგენს უსდ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება კრიტერიუმების საფუძველზე. წესით განსაზღვრულია შეფასებაზე პასუხისმგებელი პირები და მიღებული შედეგების გამოყენების პროცედურა. მნიშვნელოვანია, რომ უსდ პერსონალის შესაფასებლად აქტიურად იყენებს შემდეგ მიმართულებებს: ○ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა;

- სასწავლო კურსების სილაბუსების სისტემატური განახლება;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- სტუდენტების შეფასების გამჭვირვალობა;
- პერსონალის მიერ მომზადებული სასწავლო მასალების შემუშავება;
- შუალედური და დასკვნითი საგამოცდო მასალის მომზადება;
- ლექციების/ჯგუფური მუშაობის/პრაქტიკული სამუშაოების პერიოდული მონიტორინგი;
- სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა, სტაჟირება;
- სამეცნიერო ღონისძიებებში/ვირქშოფებში მონაწილეობა;
- უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სამეცნიერო პერსონალის შეფასების წესი, რომლითაც განსაზღვრულია პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესასრულებელი მოთხოვნები.(მინიმალური სტანდარტი)
- უსდ, პერსონალის საჭიროებებიდან გამომდინარე, რეგულარულად ატარებს სხვადასხვა მიზნობრივ ტრენინგებსვორქშოფებს, საინფორმაციო შეხვედრებს.

ჩატარდა პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები: მაგალითად, „საგრანტო/საპროექტო განაცხადის მომზადება“, „აკადემიური პლაგიატი, მისი გამოვლენა და პრევენცია“, „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და ღირებულებითი განათლების მეთოდოლოგია“, ,,საერთაშორისო საბიბლიოთეკო სერვისებზე წვდომა“, ტრენინგი ელსევიერის ბაზების მოხმარებასთან დაკავშირებით და სხვა. აღნიშნული აქტივობა დასტურდება პერსონალთან გასაუბრებით. მათი ინფორმაციით, კონკრეტული საჭიროებების მიხედვით რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია სხვადასხვა ტიპის ტრენინგების შესახებ, ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები, ვორქშოფები და სხვა.

დასკვნის სახით აღსანიშნავია, რომ სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისათვის მუდმივად ტარდება პროფესიული განვითარებისათვის - საჭიროებების შესაბამისად, სხვადასხვა ტიპის აქტივობები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (ტრენინგები, კონფერენციები);
- პერსონალის გამოკითხვები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, საერთაშორისო მიმართულებებით მუშაობის გააქტიურება, მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა საერთაშორისო პროექტებში, მაგალითად: ერაზმუს+ , ჰორიზონტი 2020 და სხვა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ონლაინ რესურსებით, რომელიც განსაზღვარვს პროგრამის მიზნებისა და შედეგების დაკმაყოფილებას. ბიბლიოთეკა აღჭურვილია მდიდარი წიგნადი ფონდით, თანამედროვე ტექნიკით შეიარაღებული აუდიტორიებით, საკონფერენციო დარბაზებით, სათანადო ელექტრონული აპარატურით აღჭურვილი კომპიუტერული ტექნიკით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია კურსების სილაბუსებით განსაზღვრული ყველა სახელმძღვანელო, სხვადასხვა სასწავლო მასალა (ჰენდაუთები, რიდერები), რაც დასტურდება სტუდენტებთან და პერსონალთან გასუბრებით, ინტერვიუების პროცესში. სტუდენტებისათვის მისაწვდომია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე განთავსებული სისტემატიზებული ნორმატიზებული აქტები, საერთაშორისო ელექტრონული ბაზები, კერძოდ, ელსევიერის, სკოპუსის, კემბრიჯის ჟურნალები და სხვა, რაც მათ მეცნიერების უახლესი მიღწევების გაცნობის შესაძლებლობას აძლევს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ უსდ-ში დანერგილია ანტიპლაგიატის პროგრამა, რომლის მეშვეობითაც მოწმდება სამეცნიერო თემების, ნაშრომების და პერსონალის, დოქტორანტების მიერ შექმნილი ყველა პროდუქტის შეფასება. ბიბლიოთეკის პერსონალი, ბიბლიოთეკის სერვისების ეფექტიანი გამოყენების მიზნით, პერსონალისა და დოქტორანტებისათვის სისტემატიურად ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს, ტრენინგებს-ელექტრონული რესურსების მოძიების მიზნით, რაც დასტურდება პერსონალთან და დოქტორანტებთან გასაუბრებით: დოქტორანტები კმაყოფილებით აღნიშნავენ მათ მარტივ წვდომას მეტად საჭირო ონლაინ რესურსებზე და ბაზებზე. უსაფრთხოების მიზნით შპს „ორიონი კოდი 365“ ახორციელებს დაცვას შენობაში და მის მთელ პერიმეტრზე. უსდ- ს შიდა და გარე პერიმეტრებე დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები. ფუნქციონირებს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და სამედიცინო

დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. შესაბამისად, უსდს გააჩნია საკმარისი მატერიალური-ტექნიკური რესურსი; მდიდარი საბიბლიოთეკო ფონდი; რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ უსდ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკის დებულება: https://sdasu.edu.ge/ka/chven shesaxheb/normatiuli baza; ○ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა www.emis.sdasu.edu.ge; ○ უსდს დაცვისა და უსაფრთხოების დებულება: https://sdasu.edu.ge/ka/chven shesaxheb/normatiuli baza; ○ ინტერვიუერთა პასუხები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, წიგნადი ფონდის გამდიდრება უახლესი სამეცნიერო გამოცემებით, განსაკუთრებით სწავლების მეთოდოლოგიისა და კვლევების მიმართულებებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს გააჩნია დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფს რისკების მართვას ადეკვატურად და ეფექტურად. უნივერსიტეტის შემოსავლები მოიცავს სწავლის საფასურის, სახელმწიფო გრანტის, ეკონომიკური საქმიანობიდან და სხვა შემოსავლების სახით მიღებულ ფინანსურ რესურსებს. 2019-2022 წლების მიხედვით წარმოგენილი ბიუჯეტის შესაბამისად, დაგეგმილია შემოსავლების ზრდა ყოველწლიურად არანაკლებ 9-12 პროცენტის ოდენობით.

უნივერსიტეტში დანერგილია და ფუნქციონირებს მენეჯერული ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა, რომლითაც უზრუნველყოფილია დაწესებულების მიზნების მიღწევისას რესურსების კანონიერი, გამჭვირვალე, ეკონომიური და ეფექტიანი გამოყენება.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის 2021 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სადოქტორო პროგრამის აქტიური მხარდაჭერა.

წარმოდგენილი ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო თანხის ოდენობა შეადგენს 404800 ლარს, მათ შორის სამეცნიერო კვლევების დაფინანსების მიმართულებით გამოყოფილი თანხა შეადგენს 26 000, წიგნადი ფონდისათვის -15 000-ს, სასწავლო მასალის მოსამზადებლად - 10 000, სტუდენტებისა და პერსონალის ხელშესაწყობად-20 000 ლარს, შიდა გრანტის ოდენობაა -16 000 ლარი.

აღსანიშნავია, რომ ფინანსური რესურსები ორიენტირებულია სკოლის ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.

სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ანაზღაურების, წიგნადი ფონდის და სასწავლო მასალის განახლების, სამეცნიერო კვლევების, სტუდენტთა ინიციატივების დაფინანსების, სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერისა და სხვა აქტივობების ხარჯები.

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამისათვის სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.

უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია დაწესებულების პასუხისმგებლობების გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების წესის, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შეფასების დოკუმენტი, უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ შედგენილი დასკვნების და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა.

ადმინისტრაციის თქმით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებისათვის წარმოდგენილ ბიუჯეტს დაემატება თანხები უსდ-ს ბიუჯეტიდანაც.

ამდენად, წარმოდგენილი დოკუმენტებით და უსდ-ს ადმინისტრაციასთან, პერსონალთან გასაუბრებებით დასტურდება, რომ პროგრამისათვის დაგეგმილი ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის ბიუჯეტი;
- უსდ-ს პასუხისმგებლობების გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების წესი, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის

ფუნქციონირების შეფასების დოკუმენტი; ○ ინტერვიუები უსდ-ს ადმინისტრაციასთან, პერსონალთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, უსდ-ში უფრო მაღალი ხარისხით იქნეს ინიცირებული და მოძიებული დაფინანსების სხვადასხვა წყაროები, მათ შორის საერთაშორისო პროექტებიდან; ○ სასურველია, გაიზარდოს უსდ-ს შიდა გრანტის ოდენობა, რომელიც ამ ეტაპზე შეადგენს - 16000 ლარს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელსაც წარმართავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ,,ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესაბამისად“. იგი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, ასევე, პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატურ შეფასებას ახორციელებს. პროცესი რეგულირდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურის დოკუმენტით. მასში გათვალისწინებულია ,,დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე“ ციკლი, რომელიც შრომის ბაზრის კვლევის, სასწავლო პროცესის და საგანამანთლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის, შემუშავებული კითხვარების საფუძველზე ჩატარებული სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების საფუძველზე ახორციელებს პროგრამის გასავითარებლად საჭირო ცვლილებების დაგეგმვას და დანერგვას; ახდენს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს; ამოწმებს საბიბლიოთეკო ფონდის და სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურის შესაბამისობას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს საგანამანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსების, სასწავლო პროცესის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, უნივერსიტეტის მატერიალური ტექნიკური რესურსების შესაბამისობას აკრედიტაციის ეროვნულ სტანდარტებთან მიმართებაში. განვითარების ეტაპზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და გასატარებელი ღონისძიებების ნუსხას პროგრამის გასაუმჯობესებლად აკადემიური საბჭოსთვის. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ ატარებს SWOT ანალიზს. პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. აღსანიშნავია, რომ 2020-2021 სასწავლო წელს ჩატარდა ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის სტუდენტების, კურსდამთავრებულების და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა. გამოკითხვაში მონაწილეობდა 3 სტუდენტი, 1 კურსდამთავრებული და 10 აკადემიური პერსონალი. გამოკითხვის შედეგების საფუძველზე დაიგეგმა პროგრამის გაუმჯობესების ღონისძიებები. რაც შეეხება პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენას, პროცესში ჩართულნი არიან როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, ასევე სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

თვითშეფასებაში, სადაც მოცემულია ინფორმაცია პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებზე, არის გარკვეული ხარვეზები. პროგრამის დახასიათების ნაწილში 180 კრედიტის ნაცვლად მითითებულია 50 კრედიტი; კურსდამთავრებულთა რაოდენობის გრაფაში მითითებულია 0, როცა პროგრამას 1 კურსდამთავრებული ჰყავს. რიგ სილაბუსებში (სწავლების მეთოდები, აკადემიური წერა) ლიტერატურა უნდა მიეთითოს აკ. წერის პრინციპების დაცვით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასება დ შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა; ○ სილაბუსის დ პროგრამის შემოწმების ფორმები; ○ გამოკითხვის ფორმები; ○ სადოქტორო პროგრამის სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები; ○ შრომის ბაზრის, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კვლევა; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გარე ხარისხის შეფასებას ახორციელებს სსიპ - განათლების ხარისის განვითარების ეროვნული ცენტრი. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 2 დეკემბრის N395 გადაწყვეტილებით პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია, ხოლო უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 25 სექტემბრის N74 გადაწყვეტილებით საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივრსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია. აკრედიტაციის ექსპერტთა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები განხილულ იქნა პროგრამის მოდიფიცირებისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. პროგრამის მოდიფიცირების მიზნით რექტორის რექტორის 2020 წლის 23 დეკემბრის N99 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები: აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები. ჩატარდა სამუშაო შეხვედრები. პროგრამის გადამუშავება მოხდა შრომის ბაზრის კვლევისას გამოვლენილი აქტუალური საკითხების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების (სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციული პერსონალი) გამოკითხვის შედეგების ანალიზის და აკრედიტაციის ექსპერტების და აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე. ამასთან, ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის ადმინისტრაციამ პროგრამა შესაფასებალდ გადასცა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გორის სახელმიწიფო უნივერსიტეტის, წყლის და გარემოს დაცვის ინჟინერიის ეროვნული უნივერსიტეტის (უკრაინა) დარგის სპეციალისტებს. მათგან პროგრამას მიღებული აქვს დადებითი შეფასებები. პროგრამაში შესულია შემდეგი სახის ცვლილებები: საგანმანათლებლო პროგრამაში მოდიფიცირდა პროგრამის სტრუქტურა, დაემატა ახალი სასწავლო კურსები. გადამუშავდა სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასების მეთოდები, სწავლისა და სწავლების მეთოდები, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნულები, განახლდა ლიტერატურა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 2 დეკემბრის N395 გადაწყვეტილება; ○ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბწოსს 2018 წლის 25 სექტემბრის N74 გადაწყვეტილება; ○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასება დ შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა; ○ აკაკი წერეთლის ახელმწიფო უნივერსიტეტის, გორის სახელმიწფო უნივერსიტეტის, წყლის და გარემოს დაცვის ინჟინერიის ეროვნული უნივერსიტეტის (უკრაინა) დარგის სპეციალისტების მიერ განხორციელებული პროგრამის კოლეგიაური შეფასებები; ○ შრომის ბაზრის, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კვლევა; ○ თვითშეფასების კითხვარი და თანდართული დოკუმენტაცია; ○ ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია, პროგრამის განვითარებაში უნივერსიტეტმა ჩართოს მეტი უცხოელი ექსპერტი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. მონიტორინგის ფარგლებში ხდება პროგრამის სტუდენტების შეფასების შედეგების, საგანმნათლებლო პროგრამების რესურსებით უზრუნველყოფის, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ჩარრიცხვის, მობილობის, დასაქმების და სხვა მაჩვენებლების აბსოლუტური და ფარდობითი მაჩვეებლების გაანგარიშება და მათი ანალიზი. ამასთან, პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ყოველ სასწავლო კურსს სტუდენტები აფასებენ კითხვარების მეშვეობით. მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება. მექანიზმის ქმედუნარიანობა დადასტურდა ინტერვიურების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასება დ შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა; ○ სილაბუსის და პროგრამის შემოწმების ფორმები; ○ გამოკითხვის ფორმები; ○ სადოქტორო პროგრამის სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები; ○ შრომის ბაზრის, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კვლევა; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:შპს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური: ეკონომიკა, დოქტორანტურა (მესამე საფეხური)
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 43

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ეკა ლეკაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ლელა ბახტაძე

ირმა ქურდაძე

თამარ თავხელიძე